პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 სექტემბერი შაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 205 (15722)

ცოდნის ლაშქარი

მოგილოცავთ მეგობრებო, ახალ სასწავლო წელს!

დღეს პირველი სექტემბერია — ცოდნისათვის ორგანიზებული ლაშქრობის მორიგი პირველი დღე. მოგილოცავთ ამ საზეიმო დღეს, მეგობარო — მოსწავლევ, მასწავლებელო, მშობელო!

სწავლა სიკეთიდმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი, მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი, — ასწავლიდა ყრმას დიდი დავით გურამიშვილი.

ცოდნა — ეს არის ადამიანის განუყოფელი ჯანმგზავრი ჭირსა და ლხინში, თანაშემწე შრომასა და ბრძოლაში. ყველაფერი შემოსცლია ადამიანს გასაჭირის ჟამს, მაგრამ არ დაუტოვებია იგი ცოდნას, იმას, რაც უსწავლია, წიგნით შეუძენია, მშობლებისა და მასწავლებლებისაგან მიუღია. ყველაფერი უყიდია ადამიანს, მაგრამ ჯერ არ გვქონია იმის მაგალითი, რომ ცოდნა ეყიდნა. კიდევ ერთი დიდი და განსხვავებული თვისება გააჩნია ცოდნას — შეგიძლია იგი გასცე, მაგრამ, წონით რომ იზომებოდეს, მისხალიც არ დაკლდება შენხას, პირიქით — ემატება, როგორც ემატება შუქს ძალა ხანთელს, როცა მისგან ანთებული სხვა ხანთლებიც აკიაფდებიან.

კაცობრიობის დაგროვილ ცოდნას, განსახიერებულს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობაში, იარაღი ვერ შეედრება ვერც შრომაში, ვერც ბრძოლაში, გენიოსთა შორის გენიოსი ლენინი, (რომელიც ცხოველმყოფელ ძალას ხედავდა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობაში, სიყრმიდანვე ბეჯითად ეწაფებოდა ცოდნას, შეუპოვრად სწვდებოდა მის უკიდეგანო სივრცეს, განუზომელ სიღრმეს, რომ ისევ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის მოეხმარებინა იგი, კაცობრიობისთვისვე დაებრუნებინა ახალი ძალით, — მატერიალურად ხელშესახები, თვალით დასანახი, გრძნობით აღსაქმელი ძალით. ასე გაჩნდა მსოფლიოს რუკაზე პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომლის შვილებიც ვართ. ამ სახელმწიფოს საძირკველში ჩატანებულია, უპირველეს ყოვლისა, ცოდნა ბუნების კანონებისა, ცოდნა საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებისა, — მატერიალისტური, დიალექტიკური კანონებისა. ამ ცოდნის საძირკველზე აგებულ სეხლმომედეგ სახელმწიფოსთან ჭიდილში, თვით მისსავე ჩანასახშიც კი, ვერას გამხდარა პირველი ქარიშხალი ხამოქალაქო ომისა და ინტერვენტთა შემოსევისა, შინაგანი კონტრ-რევოლუციისა, შემდეგ სხვადასხვა ჯურის ანტიპარტიული ჯგუფებისა და, ბოლოს, მეორე მსოფლიო ომისა, ჰიტლერულმა გერმანიამ რომ მოგვასვა თავს.

მარქსისტულ-ლენინური, მატერიალისტურ-დიალექტიკური მოძღვრება — კაცობრიობის დაგროვილი ცოდნის ეს უკეთესი ჯამი ის ნოყიერი და მკვიდრი ნაადგარი, რომელზე აღმოცენებულ ნაყოფსაც ვიმკით დღეს ჩვენ სულიერ თუ მატერიალურ სფეროში. საკუთარი გამოცდილებით მივიდა დიდი ლენინი იმ დასკვნამდე, რომ ეჩვენებინა ჩვენთვის სიცოცხლის დედააზრი, შრომახა და ბრძოლაში გამარჯვების უმთავრესი გზა — „სწავლა, სწავლა და სწავლა!“

ყოველივე სიკეთე, რასაც ჩვენ ვიღებთ, განპირობებულია ცოდნით, რაც მხოლოდ სწავლით შეიძინება.

ყოველივე ბოროტს, რაც ჯერაც ემუქრება ადამიანს, ვებრძვით აგრეთვე ცოდნით, რაც სწავლის ნაყოფია.

იმასაც, რომ ვისწავლოთ, და იმასაც, რომ ვასწავლოთ — საფუძვლად უდევს შრომა. აი ამ დიდი შრომის დასაწყისი დღეა დღევანდელი პირველი სექტემბერი ჩვენს სკოლებში, უმაღლეს თუ საშუალო სპეციალურ და პროფტექნიკურ სახსწავლებლებში.

მოსამზადებელი კლასებით დაწყებული და გათავებული უმაღლესი სახსწავლებლის ბოლო კურსებით შრომა გასდევს წითელ ზოლად ცოდნისათვის მოლაშქრე ადამიანის მთელ ცხოვრებას. ეს შრომა მხარს უბამს მშობლებს, უფროსი ძმებისა და დების — ხალხის შრომას დაზგებთან და მარტენის ღუმელებთან, მშენებლობათა ხარაჩოებზე და შახტებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე და საბჭოთა მეურნეობების ბაღ-ვენახებში, იალაღებზე და სამეცნიერო ლაბორატორიებში.

ადამიანის კაცური კაცობის ხაწინდარია შრომის ხიყვარული, მოვალეობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. თვით პირველკლასელ გოგონას და ბიჭუნას მართებთ მოვალეობის გრძნობა. მასწავლებლის დავალება კანონია, იგი უნდა შესრულდეს! — ასეთი შეგნება წარმატების უპირველესი პირობაა. მერე ეს შეგნება მოვალეობისა გაჰყვება ადამიანს ბოლომდე. ეს შეგნება ამოძრავებს მან შინ თუ გარეთ, მუშაობაში, ყოფაში, ბრძოლაშიც, დიდი და აუცილებელი მოვალეობის გრძნობა.

წიგნები, რომლითაც ცოდნას იძენენ, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, რითაც დადიან, სახალო შენობა, რომელშიც სწავლობენ, სანოვაგე, რითაც იკვებებიან მოსწავლეები, — შრომით არის შექმნილი. მოსწავლეებს მართებთ შეიგნონ ეს და შრომითვე გახცენ პასუხი. ძნელია დაასახელო უფრო ძლიერი სტიმული მუშისა თუ კოლმეურნისათვის, ინჟინერისა თუ აგრონომისათვის, ვიდრე მისი შვილის ბეჯითი სწავლა და კარგი ქცევა.

ხედავთ, ნორჩო და ახალგაზრდა მოსწავლე მეგობრებო, რა ძალა აქვს თქვენს შრომას საერთო სახალხო შრომაში, როგორი ფრთაა სწავლაში თქვენი კარგი და ფრიადი ნიშნები მშობლისათვის შრომაში! მაშ გაახარეთ ხალხი კარგი სწავლით!

ჩვენს სკოლას ხელთ აქვს მძლავრი იარაღი ნორჩი თაობის, ახალგაზრდობის აღზრდისა—ეს არის XXIV ყრილობის გადწყვეტილებებიდან გამომდინარე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული ფუძემდებლური დებულებანი სახალხო განათლების შემდგომი განვითარების შესახებ: ეს არის „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლები“. მასწავლებელო! ამ დოკუმენტს რომ აცნობდე მოსწავლეებს, მათში უნდა სთესავდე იმის შეგნებას, რომ მოსწავლის ვალდებულებაა: კარგად ისწავლოს. მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მიიჩვიოს თვითმმსახურებას, დაიცვას სკოლის შინაგანაწესი, გაუფრთხილდეს და დაიცვას სოციალისტური საკუთრება, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკოლის ცხოვრებაში, შეურიგებელი იყოს ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი...

მოსწავლეებში დაე ზრდიდე, მასწავლებელო, თავიანთი სამშობლოთი ხიამაყის გრძნობას!

თავიანთი სამშობლოთი ხიამაყის გრძნობით შეუდგებიან დღეს სწავლას ხაშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლენი, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები. ვადიდოთ სამშობლო სწავლით და შრომით, მოსწავლე და სტუდენტო ახალგაზრდებო!

ჩვენი რესპუბლიკის სკოლების ხელში სწავლა-აღზრდის ახალი მძლავრი იარაღია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილება „რუსული ენა სსრ კავშირის ხალხთა ურთიერთობის ენაა“. ცოდნის სამყაროში გზის გამკვლევი ნათურა — რუსული ენა ხელს შეუწყობს ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას უკეთ და უფრო საფუძვლიანად ეზიაროს ცოდნას, მეცნიერებას.

ახალ სასწავლო წელს შევუდგეთ იმის ღრმა შეგნებით, რომ:

სსრ კავშირში სახალხო განათლების მიზანია მოამზადოს კომუნისტური საზოგადოების დიდად განათლებული, ყოველმხრივ განვითარებული აქტიური მშენებლები, რომლებიც აღზრდილი იქნებიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, სიბეჯითეთ კანონებისა და სოციალისტური მართლწესრიგის პატივისცემის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანები, რომლებიც წარმატებით იშრომებენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში, მზად იქნებიან თავდადებით დაიცვან სოციალისტური სამშობლო, დაიცვან და ამრავლონ მისი მატერიალური და სულიერი სიმდიდრენი, გაუფრთხილდნენ და დაიცვან ბუნება. სსრ კავშირის სახალხო განათლებამ უნდა უზრუნველყოს საბჭოთა ადამიანის სულიერ და ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა განვითარება და დაკმაყოფილება.

სკოლებს მუშაობა უნდა შევუსაბამოთ კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ვითარებას. ეს კი მიღწეული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხოვრების მოთხოვნათა დონეზე ავიყვანთ სწავლა-აღზრდის დონეს. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ დავიკვეხნით რესპუბლიკაში ამ დონით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის ნოემბრის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელზეც განხილული იყო მაღალი სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, ხანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის საკითხები, მთელი კომუნისტური პრინციპულობით დაიხვა ახალგაზრდობის აღზრდის მკვეთრად გაუმჯობესების აუცილებლობის ამოცანები. თვითეული კომუნისტი, ყოველი პატიოსანი მშრომელი უნდა იძლეოდეს დისციპლინიანი ოჯახის უფროსის საუკეთესო მაგალითს, თავის შვილებს ზრდიდეს თავმდაბალ ადამიანებად, მტკიცე კომკავშირელებად და კომუნისტებად, ჩვენი საზოგადოების დიდად შეგნებულ მშენებლებად.

სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლები, რომლებიც ძალაში შევა 1974 წლის 1 ივნისიდან, განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის სახსწავლო-საადმზრდელო დაწესებულებათა ყველა რგოლის ამოცანებს — ხაბავშვო ბაღიდან უნივერსიტეტამდე. ამ ამოცანათა წარმატებით გადაჭრა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია პედაგოგიურ კადრებზე. სკოლაში მასწავლებელი არის სწავლა-აღზრდის ცენტრალური ფიგურა. იგი, მშობლებთან ერთად, აღუზრდის სამშობლოს ღირსეულ შვილებს. წარმატებული იყოს თქვენთვის ეს სახსწავლო წელიც, ძვირფასო მასწავლებლებო!

მოგილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, მეგობრებო!

გამარჯობა, სექტემბერო!

ბედნიერი თაობა

ჯერ ზარი არ დარეკილა. მასწავლებელს გარშემორტყმიან მეოთხეკლასელი გოგონები და ბიჭუნები, პიონერის ყელსახვევიანი მოსწავლეები. გული სიხარულს ვერ იტევს, ხვალ 1 სექტემბერია — დღეს ახალი სასწავლო წლის წინა დღეა. საყვარელი მასწავლებელი ჟანა ციხისთავიც ალერსით უღიმის თავის აღსაზრდელთ. ეს აღბეჭდა ამ სურათზე ფოტორეპორტიორმა ს. კილაძემ. წინ ბეჯითი შრომისა და სწავლის მთელი ძნელი თვეებია, მაგრამ ამ ბავშვების სახეზე იმის მტკიცე რწმენა იხატება, რომ სწავლის სიძნელეებს დასძლევენ, იქნებიან წარჩინებული მოსწავლენი, ყოფაქცევის ფრიადოსნები, დამჯერნი, ისეთები, როგორიც დედაქალაქის 55-ე საშუალო სკოლის კარგ ტრადიციას შეეფერება.

სსრ კავშირში პრეზიდენტ უ. კეკონენის ვიზიტის გამო

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ფინეთის პრეზიდენტი ურჰო კალევა კეკონენი სექტემბერის დამდეგს ხანმოკლე არაოფიციალური ვიზიტით ჩამოვა საბჭოთა კავშირში. უ. კეკონენი ეწვევა ლენინგრადს, აგრეთვე ლენინგრადის ოლქის სვეტოგორსკის ელექტროსადგურზე-ქალაქ დიმიტროვგრადს, რომლის რეკონსტრუქციაში სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრობათა შეთანხმებით მონაწილეობენ ფინეთის ფირმები.

(საკონსი).

რწმუნებულების სიგელების გადაცემა

30 აგვისტოს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნგუენ ვან თხანმა კრემლში რწმუნებულების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს თ. ა. სურგანოვს.

რწმუნებულების სიგელების გადაცემის დროს ნგუენ ვან თხანმა და თ. ა. სურგანოვმა წარმოთქვეს სიტყვები.

ელჩმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს ვიეტნამელი ხალხის მუდმივი მხარდაჭერისა და უანგარო დახმარებისათვის მის სამართლიან ბრძოლაში.

საპასუხო სიტყვაში თ. ა. სურგანოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ადამიანები ყოველთვის იყვნენ სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა მხარეზე.

რწმუნებულების სიგელების გადაცემისა და თ. ა. სურგანოვის და ნგუენ ვან თხანის სიტყვების შემდეგ გაიმართა ბანკეტი, მეგობრული საუბარი. (საკდესი).

ხელი მოაწერეს კონტრაქტებს

30 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტში ხელი მოაწერეს კონტრაქტებს, რომლებიც ითვალისწინებენ იმას, რომ ერაყს გაეწიოს დახმარება მისი ფყალისა და მიწის რესურსების გეზერალური სქემისა და მდინარე ევფრატზე სიირიგაციო სისტემების და წყალსაცავების მშენებლობის პროექტების შემუშავებაში. გარდა ამისა, საბჭოთა სპეციალისტები მონაწილეობას მიიღებენ ევფრატზე მსხვილი ჰიდროკვანძის მშენებლობის მიზანშეწონილობის ტექნიკურ და ეკონომიურ დასაბუთებაში.

კონტრაქტების ხელმოწერას დაესწრო ერაყის ელჩი საბჭოთა კავშირში სალიჰ მაჰდი ამაში. (საკდესი).

ზეიმოგენ მენაკვთოგენი და მეგაზენი

31 აგვისტოს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრის შენობაში გამართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ნავობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღეს.

მოხსენება გააკეთა „საქნავთის“ ტრესტის მმართველმა რ. თეფნაძემ.

შეკრებილთ მიესალმნენ „თბილგაზის“ სამმართველოს საავარიო სამსახურის ზეინკალი ნ. სუხაშვილი, საქართველოს გაზისა და ნავთობის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, პროფესორი დ. ბულეიშვილი, ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის სამმართველოს საგურამოს რაიონული სამმართველოს მუშაკი ვ. კაკაჩია.

სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ბარხუდაროვი. (საკინფორმი).

თბილისიდან გაემგზავრა დ. კენდალი

31 აგვისტოს თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე დ. კენდალი.

აეროდრომზე დ. კენდალი გააცილეს საქართველოს სსრ კავის მრეწველობის მინისტრმა ა. ხუროძემ, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბჭოს წევრმა რ. ელიგულაშვილმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკინფორმი).

საპატიო ნოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით ქართული მხატვრული ლიტერატურის თარგმნის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ანანიაშვილს ელიზბარ გეორგის-ძეს — მწერალს.

ღოღობერიძეს ელენე დავითის ასულს — მწერალს.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 აგვისტოს ბრძანებულებით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა **ნინო ოსიეგის ასული ციციშვილი-ვაშაკიძე** — საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, პერსონალური პენსიონერი.

მეტი კარტოფილი—მოსახლეობას!

მიმდინარე წელს რესპუბლიკის მეკარტოფილეებმა ვალდებულება აიღეს სახელმწიფოს მიაყიდონ 83.250 ტონა კარტოფილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 69.250 ტონისა. ეს ერთ ჰექტარზე კარტოფილის ამოღება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 27 აგვისტოს ცნობებით სახელმწიფოს მიეყიდა 13.976 ტონა კარტოფილი, რაც გეგმა-ვალდებულების 17 პროცენტს შეადგენს.

სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვის ვალდებულება პირველმა გადაჭარბებით შეასრულა ბოლნისის რაიონმა, რომელმაც სახელმწიფოს მიაყიდა 7.435 ტონა კარტოფილი ნაცვლად 4.870 ტონისა. დმანისსელებმა დაამზადეს 3.027 ტონა. დაგალეს კი 9.240 ტონას ითვალისწინებს. სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვას შეუდგნენ ახალციხის, ადიგენის, თეთრი წყაროს, გარდაბნისა და სხვა რაიონები.

გეგმა ვადამდე

რუსთავი. (საკ. კორ.). ნაშენ მასალათა (დირექტორი ჯ. თაბაგარი) კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის 8 თვის დავალება ივლისში შეასრულა, ხოლო სახაჭონლო პროდუქციის გამოშვების გეგმას 20 პროცენტით გადააჭარბა.

დაანგარიშებულია სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებიც. წელს 7 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 5 პროცენტით, ხოლო თვითღირებულების შემცირების გზით მოლებულია ათასობით მანეთი ეკონომია.

ამ საწარმოს პროდუქციას — თაბაშირსა და პერლიტს ახლა სულ მეტი რაოდენობით იყენებენ ჩვენი რესპუბლიკის ახალშენებლობები.

ერთი თვით ადრე

აგასთუმნის ტუნგის საბჭოთა მეურნეობამ (ზუგდიდის რაიონი) ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულა ჩაის ფოთლის კრების წლიური ვალდებულება. სახელმწიფოს მიეყიდა 475 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 410 ტონისა. მოკრეფილი ნედლეულიდან 70 პროცენტი პირველი ხარისხისაა. მეურნეობის მეჩაიეებმა პირობა დაიდეს სეზონის ბოლომდე დამატებით კიდევ მოკრეფონ 80 ტონა ჩაის ფოთოლი.

მეურნეობამ აგრეთვე შეასრულა ლიმონ-ჩაისა და საკოფეინე მასალის დამზადების გეგმა. ამას რედაქციას ატყობინებენ მეურნეობის დირექტორი ა. თორდუა და პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. ბუბულავა.

ზუთხლადი —ვადამდე!

მავრიკის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად

30 აგვისტოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ კრემლში საუზმე გამართა მავრიკის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრის ს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე ითქვა:

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპზე უარყოფით გავლენას ახდენს საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების დაბალი დონე. რესპუბლიკის მეტ წილ საწარმოებში იგი 70-80 პროცენტს არ აღემატება, ხოლო მოწყობილობის წარმადობა საუუალო საპასპორო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი საწარმოთა კოლექტივებისაგან მოითხოვს მაქსიმალურად გამოიყენონ სიმძლავრეები. ეს არის სადღეისო მოთხოვნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მოთხოვნას ყველგან როდი ასრულებენ. უკანასკნელ წლებში საფეიერო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს შეჯიბრება მომსახურების ზონის გასაფართოებლად. რესპუბლიკის საწარმოში ახლა არიან ისეთი მქსოველები და მრთველები, რომლებიც ორჯერ უფრო მეტ მანქანებს ემსახურებიან, ვიდრე ამას ნორმა ითვალისწინებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გამოცდილება ძალიან ნელა ვრცელდება და ინერგება მანქანათსამშენებლო საწარმოებში. მუშახელის ნაკლებობის გამო ბევრ საწარმოში ჩარხებს სრული დატვირთვით მხოლოდ პირველ ცვლაში იყენებენ, მეორე ცვლაში კი ისინი ცდება.

დარგის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებში ეყებენ რეზერვებს ჩარხების მოცდენების აღსაკვეთად. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი რეზერვია მომიჯნავე პროფესიების დაუფლება და ამის მეოხებით სამუშაო ზონის გაფართოება. სხვებთან შედარებით ამგვარი მუშაობის უკეთეს მაგალითს იძლევა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხნის კოლექტივი; მიუხედავად ბევრი ხარვეზისა, მისი გამოცდილება, ჩვენი აზრით, სანიტერესო და საყურადღებოა. ვნებდავთ წერილს კიროველ ჩარხშენებელთა ამ გამოცდილების შესახებ.

ოცდახუთი წელია ქარხნის № 15 საამქროში შრომობს კბილანამქრელი ივანე კრავჩენკო. ეს ნოვატორი მუშა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც თავისი სურვილით ორ ჩარხზე მუშაობა გადაწყვიტა და დავალებები არა მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლით, არამედ ხარისხის მიხედვითაც პირნათლად შეასრულა. ი. კრავჩენკომ ორ ჩარხთან ცოტა ხანს იშრომა და კვლავ გაფართოვდა თავისი სამუშაო ზონა — ორ ჩარხს კიდევ ორი მიუმატა.

ერთი მუშა — ოთხ ჩარხთან! ეს იოლი საქმე როდია. მაგრამ ნოვატორმა მუშამ, რომელიც კარგად ფლობდა მომიჯნავე პროფესიებს, ნიადაგ ზრუნავდა საკუთარი ოსტატობის ამაღლებისათვის, შეძლო შეუფერებლად, სრული დატვირთვით ემუშავებინა ოთხივე ჩარხი. ი. კრავჩენკოს და მის მიმდევართა ინიციატივა ქარხანაში უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ, აქ მაშინვე ჩასწვდნენ ამ სიახლის დიდ მნიშვნელობას, როგორც კი დააჯამეს თვითეული ნოვატორის შრომის პირველივე შედეგები — **როცა შესრულებული ნორმა-საათების რაოდენობამ სწრაფად იმატა და თვეში 800-900 ნორმა-საათს მიაღწია, თვითეულ ჩარხზე 120-125 პროცენტი დავალებების შესრულებით ოთხივე ჩარხზე წლიურად მაღლებულ იქნა 2.500-3.000 მანეთით ეკონომია.**

— ი. კრავჩენკოს თაოსნობას ბევრმა დაუჭირა მხარი. ესაა კი ყველაფერი ხელს უწყობდა, გაფართოებული ზონით მუშაობას შეუდგა, — თქვა ქარხნის მთავარმა ინჟინერმა **მ. ნეროევმ**, — მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ენთუზიაზმ მუშათა უმრავლესობის ეს მეორე პროფესია სამუშაო ადგილების ამგვარი საჭიროებისათვის მოუწყობლობის გამო დღემდე გამოუყენებელი რჩება და მხოლოდ იშვიათ, გამონაკლის უბნებზე თუ გვიძლევა საშუალება ეს „უნივერსალი“ მუშახელი დაეტვირთოთ.

საწარმოს ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები ნიადაგ ზრუნავდნენ და დღესაც ზრუნავენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოიყენონთ ეფექტური შრომის ეს დამატებითი რეზერვი. ამ მეცადინეობამ გარკვეული შედეგი უკვე მოიტანა. მრავალჩარხოსანთა რიგები საგრძნობლად გაიზარდა. **ახლა ქარხანაში 480 ჩარხოსანი მუშადან 120 მუშა მრავალჩარხოსანია — ორ, სამ და ოთხ ჩარხს ემსახურება, ე. ი. საერთო ჩარხოსან მუშათა 25 პროცენტი** გაფართოებული ზონით მუშაობს. თვითეული ეს უნივერსალი მუშა მეტად ეკონომიურად შრომობს, ზოგავს სამუშაო დროს და უდაფეიტო პროდუქციას ამზადებს, პირველი წარდგენისთანავე აბარებს ტექნიკური კონტროლის განყოფილებას.

საამქროთა შორის გაფართოებული ზონით მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა № 15 საამქრო, აქ 39 მრავალჩარხოსანია. თვითეული მათგანი სამ და ოთხ ჩარხს ემსახურება...

— გაფართოებული ზონით მუშაობამ ქარხანას უკვე გარკვეული წარმატება მოუტანა, — გვითხრა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ა. შარაბიძემ**, — **წელს განვლილ 7 თვეში შარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 14 პროცენტით რომ გადიდდა, ეს მრავალჩარხოსანთა თავდადებული შრომის შედეგიც არის.** წლევანდელ **7 თვეში გამოშვებულია 210 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.** და ძირითადად ეს მიღწეულია საწარმოო ფართობისა და მუშახელის გაუდიდებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მრავალჩარხოსანთა შეჯიბრებამ მასობრივი ხასიათი ვერ მიიღო, მათი რიგიც ნელა იზრდება. იმ საამქროებშიც კი, სადაც ამისათვის ყველა პირობებია, არ არის ამ ენთუზიასტ მუშაკთა სათანადო რაოდენობა. მაგალითად, № 15 საამქროშიც 156 ჩარხოსანიდან 39 მრავალ-

ჩარხი

ჩარხოსანია (ეს საამქრო ყველაზე უკეთ გამოიყურება). № 1 საამქროში 123-დან — მხოლოდ 19, № 8 საამქროში 160-დან — 15 და ა. შ. ჩვენ ვიცით და კარგად გვესმის ამგვარად მუშაობის დიდი მნიშვნელობა, რომ ეს არის ეფექტური შრომის ერთ-ერთი კარგი რეზერვი **დასამლავი როდია, რომ საწარმოს ცვლითობის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია, იგი „1,2-ს შეადგენს.** ოფერიორად **ჩვენი დანადგარ-მოწყობილობა მთელი დატვირთვით მხოლოდ პირველ ცვლაში მუშაობს, მეორე ცვლაში კი ცდება, მუშახელი არ გყოფნის...**

რას ფიქრობენ ამაზე ქარხანაში? როგორ იბრძვიან კადრების დამაგრებისათვის? — ამ კითხვებით მივმართეთ საწარმოს კადრების განყოფილების უფროსს **თ. უსანეთაშვილს.**

— ჩვენი საწარმო ახალ შეკვეთას ძირითადად პროფტექნიკური სასწავლებლებიდან იღებს. მაგრამ მათი დამაგრების საქმე ვერ მოგვარდა. ახალგაზრდა მუშების დიდი ნაწილი თვითნებურად ტოვებს სამუშაოს...

მართლაც ასეა, ქარხანა ახალგაზრდა მუშახელს ძირითადად პროფტექნიკური სასწავლებლებიდან უნდა იღებდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება. თვითონ გაანსაგეთ: 1971 წელს საწარმოში მიიღეს მხოლოდ 62 ახალგაზრდა, 1972 წელს 95, წელს — 50. აშკარა მცირე რაოდენობაა. მაგრამ ახლა ვნახოთ ამ მუშებიდან რამდენი დარჩა ქარხანაში. 1971 წელს საწარმოში დარჩა მხოლოდ ორი, 1972 წელს — 15.

მაგრამ ასე თუ ისე, ამ მცირე მუშახელის დამაგრებითაც კი ქარხანას შეეძლო დიდი საქმე გაეკეთებინა. ახალგაზრდების დაბალი ყველაფერია სრულიად საქმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ახალ პროგრამულ ჩარხებთან წარმატებით ემუშავა (ამ პროგრამული ჩარხების რიცხვი თანდათან იზრდება ქარხანაში), ხოლო მაღალი ყველიფიკაციის მუშები, რომლებიც პროგრამულ ჩარხებზე „ცდებიან“, ჩვეულებრივი ჩარხებზე გაფართოებული ზონით იმუშავებდნენ.

მრავალჩარხოსანთა რიგები ქარხანაში ნელა რომ იზრდება, ჩვენი აზრით, ეს იმის მიზეზიც არის, რომ არასრულყოფილია ნოვატორ მუშათა მატერიალური წახალისების საქმე. მართალია, მრავალჩარხოსნებს საწარმოში განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან, აფასებენ — დავალების 100 პროცენტით შესრულებისათვის ისინი ღებულებენ განაკვეთის 10 პროცენტ პრემიას, ხოლო დავალების ყოველი ერთი პროცენტით გადაჭარბებისათვის — 1,5 პროცენტს, ის მუშები, რომლებიც ოთხ-ოთხ ჩარხთან მუშაობენ, თვეში პრემიების სახით 70-80 მანეთს იღებენ.

მაგრამ, ჩვენი აზრით, მრავალჩარხოსანთა გამომუშავების მაჩვენებელი მაინც დაბალია. თვითონ განსაჯეთ: **მრავალჩარხოსნებს ერთ ჩარხთან მომუშავეებთან შედარებით მხოლოდ 25-30 პროცენტით მეტი გამომუშავება აქვთ. ფუნდად გამოხატულებაში ეს შეფარდება ყოველთვიურად დაახლოებით ასეთ ხუთაოს იძლევა: ერთ ჩარხზე მომუშავე იღებს 170-185 მანეთს, ამ თანხას ბევრად არ აღემატება მრავალჩარხოსანი მუშის (აქ იგულისხმება 2, 3 და 4 ჩარხთან მომუშავე) გამომუშავება. ამაზე უფრო სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ სამეურნეო ხელმძღვანელობა, ეკონომიური სამსახურის მუშაკები, შეიმუშაონ ანაზღაურების ისეთი სისტემა, რომელიც ყველას ალუძრავს რამდენიმე ჩარხთან ერთდროულად მუშაობის სურვილს.**

კიროველებს ნაყოფიერი შრომის უნარი შესწევთ. ეს რომ ასეა, ამაზე მოუთითებს საწარმოს მუშაობის მაღალი მაჩვენებლები სამუშაო დღის პირველ ცვლაში, **სწორედ ამის შედეგია ის, რომ ქარხნის საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების მაჩვენებელი საკმაოდ სოლიდურია — 92 პროცენტს უდრის.**

— მრავალჩარხოსანთა შეჯიბრებას დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია, — გვითხრა საწარმოს შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსმა **ი. ლეკვეკერმა**, — **„მათი რიგები მაქსიმალურად რომ გავზარდოთ, შეიძლებთ მთელი დატვირთვით ვამუშაოთ ის 200 ჩარხიც, რომლებიც ახლა ყოველდღიურად საშუალოდ ცდება მეორე ცვლაში, ეს კი ჩარხ-დანადგარების რაოდენობის დაახლოებით 70 პროცენტია. ამ ნაკლის აღმოფხვრა საშუალებას მოგვცემდა დამატებით 8 პროცენტით კიდევ გაგვედიდებინა პროდუქციის გამოშვება...**

№ 15 საამქროს მრავალჩარხოსანმა მუშებმა ნ. ქვაბუამ, თ. სებოსკვერაძემ, ო. მერაბიშვილმა, ა. პისარენკომ, ნ. გრიბანოვმა და სხვებმა ახლახან გაიზარეს შეჯიბრება დეკემბრის ვიმუშაოთ ორ, სამ, ოთხ ჩარხთან და დავზოგოთ მეტი სამუშაო დრო. მართლაც თვითეული მათგანი ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად ასრულებს. აი რას ამბობს ახალგაზრდა კბილანამქრელი **თ. სებოსკვერაძე.**

— მე ოთხ ჩარხთან ვმუშაობ. — ვიამბობს იგი, — და ეს ოთხივე ჩარხი მთელი დატვირთვით რომ ამუშაოო, ამისათვის წინასწარი თიდაგრიგი უნდა ვიმეორო. ზეალისათვის ჩარხების მომზადებას დღეს ვიწყებ, ვიმარაგებ საჭირო მასალას. სამუშაოს რომ შევუდგები, ვცდილობ რაც შეიძლება შემცირო ჩარხების გაწყობისათვის განკუთვნილი დრო. ეს ნორმა 20 წუთია, მე იგი 10 წუთით შევამცირე. თუ გვითვალისწინებთ, რომ ცვლაში 4-ჯერ მაინც მომიწევს ჩარხების გაწყობა, გამოდის, რომ ცვლაში ვზოგავ 40 წუთს. ეს კი დიდი დროა..

დროის დაზოგვას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი მუშისათვის. თვითეული მათგანი ხომ ყოველდღიურად ათობით დასახელების დეტალს ამზადებს. **სამწუხაროდ, ბევრი მათგანის შესრულება ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით რიდი ხდება. ეს კი გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობას უქმნის მუშას დღის მანძილზე. იგი წინასწარ ვეღარ საზღვრავს თავის შესაძლებლობებს.**

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს და ისიც ალვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ქარხანაში კეთდი მდგომარეობა როდია. **იმ 72 ათასი დასახელების დეტალიდან, რომლებიც საწარმოში მზადდება, 43 პროცენტი, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით სრულდება, ამ დარგის საწარმოთა საკავშირო მაჩვენებელი კი, როგორც ქარხანაში გვითხრეს, 41 პროცენტს არ აღემატება.** ქარხნის სპეციალისტებს სწორი კურსი აქვთ აღებული. როცა ცდილობენ ინდივიდუალური წარმოების ტექნიკური დასაბუთების შედეგებით დაბალი ნორმები სერიული წარმოებისას გადეტოლონ. სერიულში ეს მაჩვენებელი 60 პროცენტს ფარის. ფიქრობენ, ამ მიზანს 1974 წლის ბოლოს მიაღწიონ.

— მრავალჩარხოსანთა რიგების გადიდებისათვის განზრახული გვაქვს მოკლე ხანში განვახორციელოთ საამქროებში სამუშაოთ ადგილების ხელახალი მოწყობა, — თქვა საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **ა. შარაბიძემ**, — კერძოდ, ჩარხები ისე უნდა გადაადგილდეს და დაიდგას, რომ მრავალჩარხოსნებმა შეძლონ მაქსიმალური დატვირთვით ამუშაონ თვითეული დანადგარი, უქმად არ დაჯდეს. სამუშაო დროის არც ერთი წუთი.

კიროველ ჩარხშენებლებს დიდი ამოცანები აქვთ შესასრულებელი მომდინარე ხუთწლეულში. ამ ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო რეზერვებს შორის ისინი სავსებით სწორად თვლიან მრავალჩარხოსანთა მუშაობის გამოცდილების შესწავლას და ფართოდ გავრცელებას. ამ დიდ საქმეს აქ ფაქტიურად ახლა შეუდგნენ, როცა მრავალჩარხოსან ნოვატორ მუშათა გარკვეული ჯგუფი, ავანგარდი შექმნეს, მათ შორის გამოცდილება ყოველმხრივ შეისწავლეს და გაანალიზეს.

შედეგი? შედეგი ნამდვილად კარგია. მრავალჩარხოსანთა გამოცდილება საყოველთაო ყურადღების ღირსია.

რესპუბლიკის მანქანათსაამშენებლო საწარმოთა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელობა, ეკონომიური სამსახურის მუშაკები დროულად უნდა ჩასწვდნენ მრავალჩარხოსანთა შრომის სიკეთეს, უნდა შექმნან ყველა პირობა იმისათვის, რომ რაც შეიძლება გამრავლდეს მრავალჩარხოსანთა რიგები, ადიკვეთოს მოწყობილობის მოცდენი, გადიდდეს შრომის ნაყოფიერება. ეს კი მტკიცე ბაზას შეუქმნის ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების საქმეს.

ზ. ჯაბასპიშვილი,
რ. ჰელიძე.

სურათზე: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ნოვატორი მუშები თ. სებოსკვერაძე (მარცხნივ) და ი. კრავჩენკო. ისინი ოთხ-ოთხ ჩარხს ემსახურებიან.

ფოტო. ბინზბურგის ფოტო.

ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮ

შართო გზა — კიროველ მრავალჩარხოსან მუშათა გამოცდილებას

წერილი გაზეთ „პრავდის“ რედაქციას

პატივცემულო ამხანაგო რედაქტორო!

წავიკითხეთ რა თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა წერილი აკადემიკოს სახაროვის საქციელის თაობაზე, რომელიც ჩირქს სცხებს საბჭოთა მეცნიერის სახელს და ღირსებას, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია სრული თანხმობა გამოვუცხადოთ წერილის ავტორთა პოზიციის.

საბჭოთა მწერლები მუდამ იბრძოდნენ თავიანთ ხალხთან და კომუნისტურ პარტიასთან ერთად კომუნიზმის მაღალი იდეალებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის. ეს ბრძოლა ჩვენი ქვეყნის მთელი შემოქმედებითი ინტელიგენციის გულისთქმაა. ახლანდელ ისტორიულ ეტაპზე, [illegible] ეროვნული ცვლილებებისა ჩვენ ეს ბრძოლა ახალ ეტაპზე ასულა. ისეთი ადამიანების საქციელმა, როგორიც არიან სახაროვი და სოლჟენიცინი, [illegible] ამ ბრძოლაში ჩვენს სახელმწიფოს და საზოგადოებრივ [illegible] ცდილობენ უნდა ბლომის გამოიწვიონ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისადმი და არსებითად მოუწოდებენ დასავლეთს განაგრძოს „ცივი ომის“ პოლიტიკა, არ შეიძლება გამოიწვიოს რაიმე სხვა გრძნობა, თუ არა ზიზღი და გულისწყრომა.

ჩ. აიტმატოვი, ი. ბონდარევი, ვ. ბიკოვი, რ. გამზატოვი, ო. გონჩარი, ნ. გრიბაჩოვი, ს. ზალიგინი, ვ. კატაევი, ვ. კოჟევნიკოვი, მ. ლუკონინი, გ. მარკოვი, ი. მელეჟი, ს. მიხალკოვი, ს. ნაროვჩატოვი, ვ. ოზეროვი, ვ. კოლეგოი, ა. სალინსკი, ს. სარატაკოვი, კ. სიმონოვი, ს. სმირნოვი, ა. სოფრონოვი, ა. სურკოვი, მ. სტელმახი, ნ. ტიხონოვი, მ. ტურსუნ-ზადე, ა. ქეზოკოვი, კ. ფედინი, ნ. ფედორენკო, ა. ჩაკოვსკი, მ. შოლოხოვი, ს. ჭაბუკოვი.

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა წერილი

სვანეთში ჟურნალისტი აკადემიკოს ა. დ. სახაროვის განცხადებებისა და საქციელის შეფასებას, რაც გამოთქმულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა წერილში, რომელიც გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 29 აგვისტოს „პრავდაში“, და ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია გამოვთქვათ დიდი აღფოთოება ამ ადამიანის საქმიანობის გამო, რომელიც ფაქტიურად საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მტრული პროპაგანდის იარაღი გახდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველი დღეებიდანვე მისი საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავდა ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებას. მთელი თავისი ნახევარ საუკუნეზე მეტი ისტორიის მანძილზე იგი განუხრელად ადგას ამ პუმანურ პოლიტიკას. ხხოლოდ ადამიანს, რომელიც მოსწყდა ხალხის ცხოვრებას და უღალატა მის ინტერესებს, შეუძლია დაადგეს ჩვენი სახელმწიფო წყობილების, საბჭოთა კავშირის, ესე იგი იმ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლანძღვის სამარცხვინო გზას, რომელმაც კაცობრობა იხსნა ფაშიზმის ჭირისაგან და ყოველთვის იყო და არის ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისათვის მებრძოლთა ავანგარდში.

ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა დიდი წარმატებანი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებაში, ბევრ ადგილას ცდილობენ ეს ბრძოლა ახალ ეტაპზე ასულა. ასეთ [illegible]

სწავლა შრომაა, შრომაც სწავლაა

ახალგაზრდა სოციალისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა ახალგაზრდობას

გმადლობთ, სკოლავ!

წელს დავამთავრე თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სამუალო სკოლა-ინტერნატი და შევიტანე საბუთები ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე. გაჭოცდები წარმატებით ჩავაბარე, ყველა საგანში მივიღე უმაღლესი მეფასება და დღეს უკვე პირველი კურსის სტუდენტი ვარ.

მამა და ჩემი და ფიზიკა-მათემატიკის სპეციალისტები არიან და ამანაც ალბათ დიდად ითქმედა ჩემზე. მერვე კლასიდან ჩავირიცხე თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატში. აქ სწავლა გავაგრძელე კიდევ უფრო მეტი მონდომებით. რამდენჯერმე გავიმარჯვე ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე. დაჯილდოებული ვარ სიგელებითა და დიპლომებით.

ამ წერილით დიდ მადლობას მოვახსენებ ყველა იმ აღმზრდელ-მასწავლებლებს, რომლებსაც ძალიან დიდი წვლილი მოუძღვით ჩემს აღზრდაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემს პირველ მიზანს უკვე მივაღწიე, გავხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. მინდა უნივერსიტეტში ვისწავლო ისე, რომ არ შევარცხვინო ჩემი სახელოვანი სკოლის სახელი. უმაღლესის დამთავრების შემდეგ მსურს მთელი სულითა და გულით ვემსახურო ჩემს საბჭოთა სამშობლოს, ჩვენს შრომიელ ხალხს, ჩვენს ლენინურ პარტიას, რომელმაც თავისუფლად სწავლისა და შრომის საშუალება მომცა.

თამაზ მედოიძე,

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

ჩემი სიხარული

დიდი ხნის ისტორია არა აქვს ჩვენი ქარხნის ელექტრომანქანების საამქროს გამმხოლოელთა კომკავშირულ ბრიგადას, რომელსაც ადა უგრეხელიძე ხელმძღვანელობს.

სწორედ ამ ბრიგადაში მივიღე მე პირველი მუშური ნათლობა, ორი წლის წინათ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შეგირდად დავიწყე მუშაობა. ჩემი მუშა-მასწავლებელი ბ ი ს დახმარებით მალე დავეუფლე გამმხოლოებლის რთულ პროფესიას და შევიყვარე იგი.

ხუთწლედის მეორე წელიწადში ჩვენმა კომუნისტური შრომის ბრიგადამ სამაგალითო მაჩვენებლებს მიაღწია, რისთვისაც მას სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის საპატიო სახელი მიეკუთვნა. ბრიგადა ცხრა წევრს აერთიანებს (ყველანი გოგონები არიან). ყოველი მათგანი ხუთი დღის ნორმას ოთხ დღეში ასრულებს. ჩვენს მიერ წყალში ჩასაყვინთი ელექტროძრავებისათვის დამზადებული ელექტროელერები უზადოა.

სკოლიდანვე ამოჩემებული მქონდა — ინჟინერი გავმხდარიყავი და ჩემს ოცნებას ფრთები შეეხსა. წელს წარმატებით ჩავაბარე „მისაღები გამოცდები საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფაკულტეტის მანქანათმშენებლობის საღამოს დასწრებული განყოფილების პირველი კურსის სტუდენტი, ელექტრომექანიკური ქარხნის ელმანქანების საამქროს გამმხოლოებელთა კომკავშირული ბრიგადის წევრი, კომუნისტური შრომის დამკვრელი.

დიდეგა შრომას!

ჩემი პირველი შრომა იყო პირველი გაკეთილების შესწავლა. ამ შრომისათვის მიღებული ჯილდო — მასწავლებლის შექება — არასოდეს არ დამავიწყდება. ასე დავეგმბრდით მე და შრომა.

როცა სამშობლოს დასჭირდა, ხალისით წავედი არმიაში, მაგრამ ადრევე შევისწავლე მძღოლის პროფესია. იგი გამომადგა არმიაში სამსახურისას, ისე გამომადგა, რომ სარდლობამ ცოტა ხნის შემდეგ მადლობის წერილი გამოგზავნა ჩემი მშობლიური რაიონის სამხედრო კომისარიატში, რომ მე, მისი წარგზავნილი, ვარ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებული. კომისარიატს ეს წერილი რაიონული გაზეთისათვის გადაუცია, და მალე მივიღე კიდევ ეს გაზეთი ჩემზე წერილითურთ. ეს ჯილდოც არასოდეს დამავიწყდება, სწავლისა და შრომის საფასურად რომ მივიღე.

დაბრუნდი თუ არა არმიიდან გადავწყვიტე განმეგრძო სწავლა. დიდი ხნის მიზანი იყო თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფტექნიკურ სასწავლებელში შესვლა. ეს მიზანი განაპირობა იმანაც, რომ სკოლაში ძერწვა და ხატვა მეხერხებოდა.

და აი ახალი ხანა იწყება დღეს ჩემს ახალგაზრდულ ცხოვრებაში. მე ქვისმჭრელის, მეჩუქურთმის პროფესიის დაუფლებას ვიწყებ. ამან უნდა განსაზღვროს ჩემი მომავალი.

სოსო მეტრეველი,

თბილისის მ. თოიძის სახელობის სამხატვრო პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე.

გზა დაგელოცოს, მაია!

ი. გოგებაშვილის სკოლის ნამოჭაფარს სკოლაში მიჰყავს ნორჩი ვარიანელი

ზაფხულის მიწურულია ახლა ქართლში, მწვანე ხასხასა ფერს ალაგ-ალაგ ოქროსფერი შეპარვია. ცოტაც, და ქარვა იმძლავრებს ზურმუხტზე, მზე ჩაიღვრება ვაზის მტევანში, ღოყა აუწითლდება ვაშლს, აფერადდება ზვრები და ხეხილის ბაღები.

სოფლის გზას მივყვები. ეს — ვარიანია, გორის რაიონში მშრომელი ადამიანებით, დოვლათითა და ბარაქით ქებული სოფელი, იაკობ გოგებაშვილის ადგილის დედა. გზის პირს ჩამწკრივებული ალვის ხეების კენწეროებს სიო ათამაშებს. ტოტების რხევაზე ჩამავალი მზის სხივები უწვრილეს ნაწილებად ტყდება და შარაგზას შუქ-ჩრდილად ეფინება.

ალვის ხეებს კოპწია, ორსართულიან შენობასთან მივყავართ. ეს ი. გოგებაშვილის სახელობის ვარიანის საშუალო სკოლაა. ახლა აქ უფროსები ფუსფუსებენ. ახალი მერხები და დფები, სასკოლო ინვენტარი და თვალსაჩინოება თავის განკუთვნილ ადგილს იკავებს საკლასო ოთახებსა და დერეფნებში. სკოლა მზად უნდა შეხვდეს პირველი ზარის წკრიალს.

სკოლის შორიახლო ძველებური ერთსართულიანი სახლი დგას. იგი ყველა ვარიანელის წმიდათა-წმიდა ადგილი — ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმია. ადრეც ბევრჯერ ყოფილვარ აქ, მაგრამ დღეს განსაკუთრებული მოელვარებით ვათვალიერებ ექსპონატებს, რომლებიც დედაენის შემქმნელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობენ.

აი ამონაწერები მუზეუმში დაცული იაკობისეული ხელნაწერებიდან:

„ყოველ ადამიანს დაბადებიდანვე ჰყვება მიდრეკილება და ნიჭი დედაენის ადვილად და ღრმად შესწავლისა. სწორედ იმგვარად, როგორც ბულბულს ჰყვება დაბადებიდანვე ბულბულის გალობის ნიჭი, იადონს — იადონური გალობის ნიჭი... დედაენა არის ძვირფასი ხელარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა და ნამოქმედარისა“...

„რუსული ენის ცოდნა უდიდესი სიკეთეა ყველასათვის, რადგან იგი შესაძლებლობას აძლევს იყოს დიდი სახელმწიფოს სრულფასებანი მოქალაქენი. ეზიარონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას და მთელი დედამიწის ერთ მეექვსედზე გაშლილი თავისანი სამშობლოს თვალუწვდენელ სივრცეზე თავს გრძნობდნენ როგორც საკუთარ ოჯახში“.

ხალმრავლობაა დღეს სახლ-მუზეუმსა და ეზოში. უფროსებს პატარები წამოუყვანიათ, ბევრი მათგანი ხვალაც მოვა აქ. ვარიანის საშუალო სკოლაში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. პირველ სექტემბერს, მათთვის, ვინც პირველად შეაღო სკოლის კარი, ეწყობა კოლექტიური სვლა იაკობის სახლ-მუზეუმში. პატარა ბიჭუნები და გოგონები დედაენით ხელში მოდიან აქ, დედაენის ავტორთან და ფართო, ცნობისმოყვარე თვალებით, სუნთქვაშეკრული უსმენენ მასწავლებელს, მათი დიდი წინაპრის ცხოვრებაზე რომ ესაუბრება.

ეს ხვალ, დღეს კი...

— რა გვარი ხარ, გოგონი?

— კოკაური, სახელად მაია მქვია. ეს ჩემი პაპაა.

მაიამ თავისი პაპა გამაცნო, თუმცა მიხეილ კოკაურს, „მიხა-პაპას“, ადრეც კარგად ვიცნობდი.

დგანან ჩემს წინ ის წელს მატინებული, შრომაში გაოთრებული ქართველი კოლმეურნე მიხეილ კოკაური და მისი მეოთხე თაობა — ექვსი წლის მაია კოკაური.

ძია მიხა — მრავალ ჭირ-ვარამს გადანახედი, ბევრი ავის და კარგის მნახველი, მშობლიურ მოწამი ფესვებგადგმული უბერებელი მუხაა, მაია — ამ ფესვებზე აღმოცენებული ყლორტი.

პირველი — სოფლის ცოცხალი მატიანეა, მეორე — ვინც მომავალში ეს მატიანე უნდა დაწეროს, ქაღალდზე გადაიტანოს და შთამომავლობას შეუნახოს.

— მიხა პაპა, მართლა იცნობდი ძია იაკობს?

— ვიცნობდი, შვილო!

პაპა მიხა მოიძარ თვალებს ოდნავ მოჭუტავს, ეტყობა მოგონებებში იძირება.

— ჩემს ბავშვობაში სოფელში წერა-კითხვა მარტო მღვდელმა იცოდა. იაკობმა სკოლის შენობის ასაგებად სახსრები რომ ვერ გამოძებნა, სკოლა აქვე, თავის საცხოვრებელ სახლში გახსნა. კარგად მახსოვს, 73 წლის წინათ, 1900 წელს მომიყვანეს იაკობის მიერ გახსნილ სკოლაში. ანბანი ამ დიდი ადამიანის ძმისშვილმა ალექსანდრე გოგებაშვილმა შემასწავლა.

ნახევარ საუკუნეზე მეტხანს არსებობდა ეს სკოლა იაკობის სახლში.

ამ რამდენიმე წლის წინათ კი ორსართულიანმა ქათქათა შენობამ დაამშვენა სოფელი და ძველი სკოლა ამ ახალ შენობაში გადავიდა. ამ სკოლაში მიდის პირველად მაია კოკაური.

პაპა მიხაც გაჰყვება უთუოდ. ზარი რომ დაირეკება, პატარა გოგონას თავის დამარღვეულ ხელს ბაბთებიან თმაზე მოუთათუნებს (სწორედ ისე, იმ 73 წლის წინათ დიდი იაკობი სოფლის ახალბედა მოსწავლეს სიყვარულით რომ მოეფერა) და ეტყვის: „გზა მშვიდობისა, სწავლის გზაზე, ბალღო!“.

გზა დაგელოცოს, მაია!

გურამ ვაშაკიძე,

გორი, რაიონული გაზეთის თანამშრომელი.

ინსტიტუტი ახალ შენობაში

თელავი. (საკ. კორ.). ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აქამდე მოთავსებული იყო ერეკლე მეორის ყოფილ სამეფო სასახლეში. „უდიტორიებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მეტად მცირე ფართობი, რაც ამასთან შეუფერებელ-მოუხერხებელი იყო ამ დანიშნულებისათვის, დიდად აძნელებდა მუშაობას.

ეს მდგომარეობა გაითვალისწინა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და გადაწყვიტა ქ. თელავში სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის ახალი შენობა აგება.

მშენებლობას აწარმოებდა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 სამშენებლო ტრესტის თელავის № 4 სამშენებლო სამმართველო (უფროსი ი. ბეჟუაშვილი). მშენებლობა დამთავრდა. ქალაქის თავში, ცივ-გომბორის მთის ჩრდილოეთ კალთაზე, ტყის პირას წამოიმართა ინსტიტუტის ახალი ექვსსართულიანი შენობა, რომელიც გათვალისწინებულია 3.000 სტუდენტის სწავლებისათვის.

ინსტიტუტის ახალი სასწავლო კორპუსის სახარგებლო ფართობი 6.100 კვადრატულ მეტრს შეადგენს. მასში მოთავსებულია აუდიტორიები, რომელთა შორის ორი ამფითეატრის ტიპისაა. აქვეა მოთავსებული ყველა ფაკულტეტისათვის საჭირო კაბინეტ-ლაბორატორიები და დამხმარე სათავსები.

თელაველი სტუდენტები ახალი სასწავლო წლის დაწყებას ინსტიტუტის ახალ შენობაში ზეიმობენ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობა აფესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას სახალხო განათლების დარგში იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დააკმაყოფილოს საბჭოთა მოქალაქეების საჭიროებანი და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნილებანი მოზარდი თაობის განათლებასა და კომუნისტურ აღზრდაზე. უზრუნველყოს სახალხო მეურნეობა შესაბამისი კვალიფიკაციის მუშებითა და სპეციალისტებით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებიდან.

აბა, თქვენ იცით, შვილებო!

იყავით დიასეულნი

და ნურც როდისმე დამთავრდება შემოქმედებითი შრომა, ქვეყნის სიკეთისათვის ზრუნვა, ოფლის მოწმენდა, საქმის დაგვარგვინება, თავის მაღლა აწევა და სახეზე კეთილი ღიმილი, რომელშიც ჩანს შინაგანი კმაყოფილება, სიხარული, სიამოვნება იმის გამო, რომ საქმე, კეთილი საქმე დამთავრდა, დამთავრდა და დარწმუნებული ხარ, ქვეყანას სიკეთე მოუტანე.

საველდებული არ არის ამ საქმისათვის მთები გადაატრიალო, გზაზე ცუდად მდებარე ქვაც რომ აიღო და გვერდზე, გზისპირზე გადადო, ესეც დიდი საქმეა. პატარა პატარას მიემატება, ქვეყნის საუნჯეში დიდად გამოჩნდება, თუ კი ზღვა კოვზით დაილევიო, რატომ იმავე ზღვის კალაპოტი სამყოფელი კოვზით არ ივსებაო!

ჩვენი ქვეყანაც ეგრეა, იგი ზღვაა, რომელიც კოვზითაც დაილევა და კოვზითაც აივსება, ეს კოვზი თუ გულმართალ ადამიანს უჭირავს, ადამიანს, რომლის გული ფეთქავს თავისი ხალხისა და ქვეყნის სიყვარულით. ღღეს ჩვენი ქვეყნის ერთი მეხუთედი ახალ სასწავლო წელს იწყებს. უეჭველად ბედნიერი დღეა.

ეს იმას ჰგავს, რომ გუთნის დედა და მეხრეები მინდორში გადიოდნენ, პოოსა თესავდნენ, მომავალი წლის ხვავს საფუძველს უყრიდნენ, მაგრამ მარტო დათესვა ხომ არ კმარა, მას მოვლა უნდა, ლღლიობა, მისცე დროულად პატივი, მინდვრიდან თოვლი ქარს არ გაატანო, გამარგლო, გაასუფთაო და მოსავალიც დროზე აიღო, ასევე ღღეს. თქვენც იწყებთ მომავალი ხვავის საფუძვლის ჩაყრას. არც ერთი მარცვალი იმ ცოდნისა, რომელსაც გაწვდიან, არ უნდა დაკარგოთ, ყველას თავისი ადგილი უნდა მიუჩინოთ თქვენს გულსა და გონებაში.

ჩემო ძვირფასებო, ქვეყნისათვის, მისი სიკეთისათვის შრომა თქვენთვის ღღეს სწავლაა, ცოდნის გაღრმავება, რამდენსაც მეტ ცოდნას შეიძენთ, იმდენად მეტ სარგებლობას მოუტანთ ქვეყანას. მრუდედ გაკეთებული არმად გექცევათ, არავის შერჩება, ერთადერთი გზა — იყო სასარგებლო ადამიანი, ირის პატიოსანი შრომა — სწავლა.

მე ბევრი ამბის მომსწრე ვარ. მახსოვს ის დროც, როდესაც თუნდ ჩემს სოფელში წერა-კითხვის მცოდნენი თითებზე ჩამოსათვლელები იყვნენ. სკოლა 1914 წლამდე ვის გაეგონა. 1915 წელს ერთოთახიანი სკოლა იყო.

ღღეს, 1973 წელს კი 180 კაცზე მეტი უმაღლეს სწავლადამთავრებულია, ზოგი აგრონომია, ზოგი ინჟინერი, ექიმი, ზოოტექნიკოსი, ეკონომისტი, პედაგოგი... თხუთმეტზე მეტი მეცნიერი მუშაობა — მეცნიერების დოქტორი, მეცნიერების კანდიდატი და სხვა.

მაგრამ ასეთი ძვრა გამონაკლისი კი არ არის, ტიპიური. ზემოთ მოყვანილ მაგალითს სხვები კი არ ჩამორჩებიან, არამედ მრავალი წინ უსწრებს თუნდაც ქვემო სვანეთის ასკომლიან სოფელ საშაში 120-ზე მეტი უმაღლესი განათლებით არის, ოცამდე — მეცნიერი მუშაკი, მათ შორის თითქმის ნახევარი მეცნიერების დოქტორი.

ეს ყოველივე შედეგია ჩვენი ხელმძღვანელობის, პარტიის, მთავრობის დიდი ზრუნვისა და ყურადღებისა, შედეგია ჩვენი ხალხის დიდი და პატიოსანი შრომისა. აი სწორედ ამიტომ ღღეს, როდესაც იწყებთ სწავლას, ახალ წელს, სწორედ შრომაზე გელაპარაკებით. მხოლოდ შრომა მოგანიჭებთ შინაგან კმაყოფილებას, ბედნიერებას.

იცოცხლეთ ქვეყნისა და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ. გაგემართლებინოთ დიდი იმედი. გისურვებთ იყოთ ღირსეული მემკვიდრენი ჩვენი დიდებული წინაპრებისა, რომელთაც ჩვენი ქვეყანა ღღემდე პირნათლად მოიტანეს.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი.

პირველი სექტემბერია. ამ სიხარულს ნეტავ რა სჯობს...

ა. რუხაძის ფოტო, (ხაჭინფორმის ფოტოქრონიკა.

მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი

ადგა პირველი სექტემბერი, აწკრიალდა სკოლის პირველი ზარი. ყველა ამან, ვინც ღღეს მოსწავლის მერხს მიუჯდა, კიდევ ერთი საბენდიერო ნაბიჯი გადასდგა ცხოვრებაში, კიდევ ერთი საფეხურთი ამაღლდა სანუკვარი მიზნისაკენ ამაგალ უსასრულო კიბეზე, კიდევ ერთი საიდუმლოებით მოცული კარი შეაღო ცოდნის ცხრაკლიტულში.

ნამდვილი, მკვიდრი და საშვილიშვილოო შრომა ქვეყნად მხოლოდ ის შენობაა, რომელიც ყოველდღიური ბეჯითი შრომით, ნაბიჯ-ნაბიჯ, აგურ-აგურ ამენებული, ხოლო რაც შეეხება ცოდნის შენობას, რომლის მაღალ ხარაჩოებზედაც თქვენ დგახართ, ის ხომ ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის თვითეული ჩვენგანის ხვალინდელი ღღის საძირკველთა საძირკველია და ამ შენობის აგებას განსაკუთრებული სიბეჯითე, შეუპოვრობა და შთაგონება სჭირდება.

სკოლა, საშუალო თუ უმაღლესი, ერის ხვალინდელ ღღეს ემსახურება, ხვალინდელ ღღეს უკავშავს გზას და ისინიც, ვინც ღღეს მოსწავლის მერხს უსხედან, ხვალის ადამიანები არიან. ქვეყისაკენ და მარად ახალი ჭეშმარიტებაა. ღღეს ვთესავთ, რათა ხვალ მოვიმკათ. მაგრამ თუ უახლოეს წარსულში ჩვენ, უფროსებს, დედებს, მამებს, აღმზრდელ პროფესორ-მასწავლებლებს, ხელმძღვანელ და რიგით მუშაკებს, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი მხედველობიდან გამოგვეპარა და შეგვეშალა, უნებლიეთ თუ პირადი ანგარების მიზნით დავარღვიეთ დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლის ბუნებრივი ცხოვრების ნორმები, ამის საბალალო შედეგი ღღესვე როდი გამოჩნდება. იგი თავს იჩენს ხვალ, თანდათან ამოქმედდება და გარდუვალ გავლენას მოახდენს ერის ეკონომიური და სულიერი ცხოვრების ხვალინდელ ღღეზე. ალბათ არ მოიძებნება ქვეყნად დანაშაული, რომელიც თავისი მნიშვნელობით სასწავლო დაწესებულებაში სწავლა-აღზრდის დადგენილი წესრიგის მოშლასა და გაუკუღმართებას უტოლდებოდეს.

მაშ, წუთით დავფიქრდეთ და ვიკითხოთ: როგორ არის დაყენებული დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლის საქმე რესპუბლიკაში? გვაქვს თუ არა სიძნელეები? მოგვიხდება თუ არა ახლო წარსულში დაშვებული შეცდომების მავნე შედეგებთან შეურიგებელი ბრძოლა? ყველაფერი გავაკეთეთ თუ არა იმის მისაღწევად, რომ კვლავაც აღარ გავიმეოროთ წარსულის შეცდომები, რომელთაგან ბევრს, იქნებ უმტესობასაც, დანაშაულის სული უდის?

დიახ, გვაქვს სიძნელეები, თანაც არცთუ ხელწამოსაკრავი და ადვილად დასაძლევი, დიახ, მოგვიხდება და კიდევაც უნდა ვებრძოლოთ ახლო წარსულში დაშვებულ უხეშ შეცდომათა მავნე შედეგებს, რომლებმაც ცხოვრების სხვა სფეროებიდან სასწავლო დაწესებულებებშიაც შემოაღწიეს და აქამდე გაუგონარი მახინჯი ფორმა მიიღეს. ღღეს მთელმა საქართველომ იცის, რა იგულისხმება ამ „მახინჯ ფორმაში“ და აქ სიტყვის გაგრძელება იქნებ არც ღირდეს. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამჟამად კარდინალური ზომებია მიღებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ მდგომარეობის ერთხელ და სამუდამოდ გამოსწორებას და სრული წესრიგის აღდგენას ჩვენს დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სკოლაში, სწავლების ყველა რგოლში, არა დღეები, კვირეები და თვეები, არამედ წლები დასჭირდება, იქნებ ათეული წლებიც, წლები დაუღალავი შრომისა და შემართებული ბრძოლისა.

ეს შრომა და ბრძოლა ჩვენი სასკოლო ცხოვრების გასაჯანსაღებლად საერთო-სახალხო საქმეა. იგი ყველას ერთნაირად გვავალდებულებს საკუთარი წვლილი შევიტანოთ ამ დიდ საერთო-სახალხო საქმეში, ვინაიდან სიტყვა ერის მომავალს, ქვეყნის ხვალინდელ ღღეს, ახალი საზოგადოების შენებაში ქართველი კაცის წილს ეხება.

ღღეს, პირველ სექტემბერს, ასობითა და ათასობით სკოლამდელი ყმაწვილი პირველად მიუჯდა სკოლის მერხს, ასობითა და ათასობით სტუდენტი, გუშინდელი მეათეკლასელი, პირველად შევიდა უმაღლესი სკოლის აუდიტორიაში. მათს ცხოვრებაში, ამგვარად, ახალი ერა დაიწყო.

ყველა ახალბედას, მთელ მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობასთან ერთად, მზერვალედ მოგილოცავთ სწავლის დაწყების ამ დაუვიწყარ ღღეს.

რევაზ ჯაფარიძე.

რომ ხვალ ანათო

მე ვენაცვალე
ცოდნის ახალ გზებს
მთის ბილიკების ნაკადებიანს,
ღღეს რომ ავსებენ
უნივერსიტეტს,
ინსტიტუტებს და
აკადემიას!
ჩემი სალამი პატარა ქალ-ვაჟს,
შავქოჩორას და ნაწნავებიანს...
მომავლის იმედს, —
ცოდნის წყაროს რომ
მოწყურებული დასწაფებიან.
რომ ხვალ ანათო
ვით მზე ანათებს, —
უნდა განათლდე,
უნდა განათლდე...
ახალი წიგნი
ახალი მზეა,
ახალი გზების გაცისკროვნება,
ცოდნა მეხრეა,
ცოდნა მეზვრეა,
ცოდნით იკაფავს კაცი ცხოვრებას.
ვინც დიდ ცოდნასთან დგას საჭიდაოდ,
აქვს ფალავნობაც დაკისრებული,
წიგნია დიდი ქვა საჯილდაო
და მოედანი არის რვეული.
ვულოცავ მათაც, ვინც აგებს ჰესებს
შუქის დასაჭერ კაკანათებად,
ვინც იმ შუქს მოჰფენს
ცოდნის ტაძრებში
მზისა და მთვარის
მსგავს განათებად.

გიორგი წერეთელი.

მშობლები ვალდებული ვართ...

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ახლახან მიიღო კანონი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმ დიდი მშობლიური მზრუნველობისა, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ ახალგაზრდა თაობის აღზრდის უზრუნველსაყოფად.

ახლა ნათელია, თუ როგორ უნდა სრულვყოთ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება. ამ სისტემების სასწავლებლებმა მუშაობა უნდა შეუხამონ კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გითარებას.

და განა მარტო სკოლებს ევალებათ ახალი თაობის მიზნობრივი აღზრდა? ამ საქმეში დიდი როლი გვაკისრია ჩვენც — მშობლებსაც. როგორც კანონმდებლობის საფუძვლებშია აღნიშნული, მშობლები ვალდებული ვართ აღვზარდოთ ბავშვები მაღალი კომუნისტური ზნეობის, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების სულისკვეთებით, ჩაეუნერგოთ მათ შრომითი ჩვევები და ძოვამზადოთ საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობისათვის, ვიზრუნოთ ბავშვთა ფიზიკური განვითარებისათვის ოჯახმრთელობის გაკაჟებისათვის, ოჯახში ბავშვთა აღზრდა ორგანულად უნდა იყოს შეხამებული სასწავლებლის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმზრდელობითს მუშაობასთან.

ჩემი ორი შვილი სწავლობს რუსთავის მე-17 საშუალო სკოლის მე-5, მე-6 კლასებში. ყველა ღონეებისაგან, რომ ისინი წესიერნი აღიზარდნონ და შემდგომ ადგილი დაიმკვიდრონ კომუნიზმის მშენებელთა რიგებში.

გრ. ბერეკაშვილი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, ლენინის ორდენოსანი.

ახალგაზრდობა — ჩვენი სიამაყე

სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობას რომ კარგი მაჩვენებლები აქვს როგორც მარცვლეულის წარმოებაში, ისე მეცხოველეობაში, ამაში დიდი წვლილი ახალგაზრდობასაც მიუძღვის. ახალგაზრდები მუშაობენ ტრაქტორებზე, კომბაინებზე, მეცხოველეობის ფერმებში, ვენახში. მარტო წელს 25 საშუალო სკოლადამთავრებული მოვიდა ჩვენს კოლმეურნეობაში სამუშაოდ. კომკავშირელებისა და ახალგაზრდების ძალებით წელს დამზადებულ იქნა 430 ტონა თივა, 3200 ტონა ნამჯა, 510 ტონა სენაჟი და 4.800 ტონა სილოსი, ორასზე მეტი ახალგაზრდა მუშაობდა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებაზე.

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ვაჟა გოგილაშვილი ტრაქტორის საჭეს მიუჯდა. არდადეგების მთელ პერიოდში აქტიურად მუშაობენ მეცხოველეობის საკვების დამზადებაზე მეცხოველსელი მოსწავლეები ვახილ იაკობიშვილი და ნოდარ ჯანაშვილი. ახალგაზრდა მექანიზატორებმა ვ. ქვეხიშვილმა და გ. ნატრომვილმა, რომლებიც სასილოსე კომბაინზე მუშაობენ, ორი ათას ტონაზე მეტი მწვანე მასა დამზადეს.

არა მარტო ჩვენს კოლმეურნეობაში, არამედ რაიონში კარგად იცნობენ ზემომაჩხაანელ მესიმინდე ქალთა რეოლს, რომელსაც საშუალო სკოლადამთავრებული ანა ნახრაშვილი ხელმძღვანელობს.

მეცხოველეობაში სახელი გაითქვეს თემურ ჭიდიტაშვილმა და გერონტი მაძღარაშვილმა, მევენახეობაში — იოსებ და ანზორ რობიტაშვილებმა და სხვებმა.

კარგი შრომითი მაგალითი აჩვენეს კოლმეურნეობის ახალგაზრდებს ჩვენთან მოვლინებულმა სტუდენტებმა ზოოვეტინსტიტუტიდან ზაქარია ცაკაშვილმა, გიორგი ზაქაიძემ, ჯემალ ბუაძემ და სხვებმა.

დამთავრდა შრომითა და სიხარულით აღსავსე ზაფხული. ახალგაზრდები უბრუნდებიან მშობლიურ სკოლას, უმაღლეს სასწავლებლებს, მათ შეუძლიათ იამაყონ თავიანთი შრომის შედეგებით. ჩვენ კი — უფროსი თაობის წარმომადგენლებს — აღმზრდელებს, მშობლებს შეგვიძლია მივულოცოთ მათ დიდი გამარჯვება სწავლასა და შრომაში. ახალი სასწავლო წლის დაწყება. ჩვენი სურვილია, ხალხის, სამშობლოს სურვილია ისწავლონ და იშრომონ მათ ისე, როგორც კოსმოსის ეპოქას, კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს შეეფერებათ.

ნ. მამაიაშვილი,

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ახალ სკოლაში

ბევრს ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის თავდადებით შრომობს თბილისის საავიაციო ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი. დღეს ქარხნის მუშამოხამსახურეებს ორმაგი ზეიმი აქვთ — 1 სექტემბერია, მათს შვილებს ახალი სასწავლო წელი ეწყებათ, და ეწყებათ იგი ახალ № 106 საშუალო სკოლაში, ახალ კეთილმოწყობილ შენობაში. იგი განკუთვნილია 1040 მოსწავლისათვის, აღმართულია ბოდიდან ხმელნიცკის ქუჩაზე. ზემოთ ფოტოზე ს. კილაძემ აღბეჭდა ერთ-ერთი ახალი საკლასო ოთახი, ქვემოთ — ახალი სასკოლო შენობის ხედი.

საპირველსექტემბრო

გაზრდა სხვაა, აღზრდა სხვაა...

- **გაზრდა** სხვაა, აღზრდა სხვაა, შუა უნის დიდი ზღვარი...
- **დაილოცოს** ცოდნით მოღებული ფული და არა ფულით მოღებული ცოდნაო.
- **აღზრდამ** ინატრა — ნეტავ ყველა მასწავლებელში მშობელი იგრძნობოდეს და ყველა მშობელში — მასწავლებელიო.
- **გაზრდასა** და აღზრდას შორის ოკეანე ძევსო.
- **ბეჭითის** დაჯილდოება ზარმაცისათვის სასჯელია, ზარმაცის დასჯა კი ბეჭითისათვის — ჯილდოო.
- **რომელ** დილასაც ძილში გაატარე, ის დღე სათვალავიდან ამოაგდეო.
- **აღზრდის** წესებს ვუნაცვალე, შვილს თუ კაცად გადმოქცევსო.
- **შვილის** გამნებივრებელი თვითონ რომ ზის, იმ ტოტს სჭრისო.
- **თავმა** თქვა — ყურადასავით რასაც ჩამაყრით, იმასვე მოგართმევთო.

ვახტანგ ჯავრიშვილი.



მოვდივარ, მოვიხარია!

სკოლისაკენ, ჯერ-ჯერობ!

ბეგია ტრადიციას არ ღალატობს.

უსიტყვოდ.

მ. აბაშიძის ნახატები.

ფეხბურთის ქრონიკა

ბუენოსი მოსკოვის „დინამო“ თავის სტადიონზე შეხვდა ცსკა-ს. ის იყო ამ ორი პოპულარული კოლექტივის 64-ე შეხვედრა. ძველი მეტოქეების მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1. გოლები გაიტანეს მახოვკომ და დუდარენკომ. პენალტებით გაიმარჯვა „დინამომ“ — 5:4.

დღეს გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ოთხი მატჩი. რიგელი მსაჯი მ. რუბენისი ერევნის „რაზდანის“ სტადიონზე საასპარეზოდ იხმობს „არარატსა“ და „კიირატს“, დნეპროპეტროვსკში „დნეპრი“ შეხვდება როსტოვის სკა-ს, „ზენიტი“ მიიღებს მოსკოვის ტორპედოელებს, ხოლო სოხუმელი არბიტრი ა. მილჩენკო მსაჯობას გაუწევს მინსკში „დინამოსა“ და „ზარიას“ მატჩს.

კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ესპანეთის ქალაქ ვალადოლიდში მიმდინარეობდა. მათ მოიგეს ორი შეხვედრა — „ელ პენაროლთან“ (3:0) და „რეალ ვალადოლიდთან“ (2:1).

ბაბიმარსა მეორე ლიგის მეოთხე ზონის საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩები. აი ჩვენი რესპუბლიკის გუნდების შედეგები: ვოლოგდის „დინამო“-სოხუმის „დინამო“ — 2:0, კოსტრომის „სპარტაკი“-ლენინგრუთის „გურაი“ — 5:1, გორკის „ვოლგა“-ფოთის „კოლხეთი“ — 3:0, ტამბოვის „რევტრუდი“-ბათუმის „დინამო“ — 1:1 (პენალტები — 2:4), ვლადიმირის „ტორპედო“-გორის „დილა“ — 2:1, რიაზანის „სპარტაკი“ — სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 5:0.

ჩემპიონია ნანა ალექსანდრია

ოდესაში დამთავრდა პროფკავშირთა საკავშირო პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის. წარმატებით იასპარეზა საბჭოთა კავშირის ხამგზის ჩემპიონმა ნანა ალექსანდრიამ. თბილისელი მოჭადრაკე თავიდანვე ჩაუდგა ტურნირს სათავეში და ბოლომდე შეინარჩუნა ეს უპირატესობა. 13 ქულა — ასეთი შედეგით გახდა ნანა ალექსანდრია პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონი.

ზედ ფინიშზე...

ბათუმში დამთავრდა საქართველოს ქალთა 29-ე ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდა 5 ოსტატობის კანდიდატი და 11 პირველთანრიგოსანი.

თავდაპირველად ლიდერობა ხელთ იგდო 15 წლის მ. წერეთელმა, რომელსაც თანდათან წამოეწიენ გამოცდილი ლ. კოროშინაძე და ც. კახაბრიშვილი. შემდგომი ბრძოლა სწორედ ამ ორ მოჭადრაკეს შორის წარიმართა. წინ კოროშინაძე იყო, კახაბრიშვილი კი, მიუხედავად მისგან მიყენებული ერთადერთი დამარცხებისა, კვალდაკვალ მიჰყვებოდა ლიდერს.

მე-12 და მე-13 ტურში კოროშინაძემ ყაიმი გააკეთა მეტოქეებთან და ბოლო ტურს წინ 12,5 ქულა ჰქონდა. კახაბრიშვილმა 12 ქულა მოაგროვა. გადამწყვეტ შეხვედრაში კახაბრიშვილმა თეორიით დაამარცხა სოხუმელი თ. ჩხეიძე (ეს მისი მერვე გამარჯვებაა), ხოლო კოროშინაძემ ასეთივე ფიგურებით მოულოდნელად წაგო თანქალაქელ ს. კალანდარიშვილთან.

ამრიგად, ციცინო კახაბრიშვილმა 13 ქულით მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება. ლ. კოროშინაძე, რომელიც მას ნახევარი ქულით ჩამორჩა, მეორე ადგილზე გამოვიდა.

სენსაცია „დინამოს“ კორტზე

ბუენოსში თბილისში, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კორტებზე გრძელდებოდა ამავე საზოგადოების პირადი ჩემპიონატი ჩოგბურთში.

საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონებმა, კიეველმა გ. ბაშეევამ და ტალინელმა თ. ლეიუსმა დაამარცხეს, შესაბამისად, მინსკელი ს. კორზუნი და ტალინელი ტ. კივისტიკი. ახლა ისინი შეხვდებიან მოსკოველ თ. ლაგოისკაიას და ტალინელ ვ. ნაელს. თბილისელმა ნ. თუხარელმა წაგო კიეველ ი. შევჩენკოსთან — 2:6, 2:6.

სენსაციური იყო ჩოგნის დიდოსტატების ა. მეტრეველისა და თ. კაკულიას დამარცხება ახალგაზრდა ლენინგრადელ წყვილთან — ს. ბოგდანოვსა და ს. ვასილევსკისთან. სტუმრებმა, რომლებსაც წყვილის ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ედუარდ ნეგრეტე